პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 189 (13274) | ხუთშაბათი, 12 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლეული — ვადამდე!

დავალება განაღდებულია

ვადაზე ადრე ვუპატაკოთ სამშობლოს შვიდწლედის დავალებათა შესრულება — ასეთი დევიზით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის კოლექტივმა.

ფაბრიკამ ექვსი თვით ადრე შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმა და ახლა პროდუქციას იძლევა 1966 წლის ანგარიშში.

მარტო განვლილ შვიდ თვეში ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 58 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, ხოლო სულ 65 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა ქვეყანას.

ამავე დროის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა გეგმით გათვალისწინებულს 2,7 პროცენტით გადააჭარბა. შვიდ თვეში დაზოგილია 1.700 კილოგრამი თამბაქო, 7.400 კვადრატული მეტრი საპილზე ქაღალდი, 630 კილოგრამი შესაფუთი მასალა. ხოლო ზეგეგმითი დაგროვება ამავე დროისათვის 29 ათას მანეთს აღემატება.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის საუკეთესო მეტალურგის, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის დავით ცხადაძის შრომითი საქმეები. ბრიგადა, რომელსაც ის უძღვება, ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევა 1,5 ტონა მაღალხარისხოვან ლიათონს.

* * *

სურათზე: დ. ცხადაძე.

ფოტო გ. გერსამიასი. (საკდესის ფოტოკრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვდეს: ოცი დღე დარჩა პირველ ზარამდე!

ორს აღარ არის ის დღე, როცა პირველად საზეიმოდ ზარი ეცემა ზარი სკოლებში, კვლავ ეივლ-ივილი აავსებს ქუჩებსა და გზებს.

1 სექტემბერი ჯარს გვიკაკუნებს და თითქოს გვეკითხება, როგორ ემზადებით ჩემს შესახვედრად.

ივლისი მშენებელთა შემტევი წინსვლით ხასიათდებოდა როგორც საერთოდ, ისე, კერძოდ, სასკოლო ობიექტებზე. მშენებლის დღემ, რომელიც გასულ კვირას ვიზეიმეთ, ცხადყო, თუ ბევრგან რაოდენ მოწადინებული არიან ადამიანები მალე და კარგად აუშენონ ბავშვებს სკოლები. ჩვენი გაზეთის პირველი კრიტიკული გამოსვლების შემდეგ იმავე გაკრიტიკებული ობიექტებიდან თანდათანობით დენა იწყო სხსიამოვნო ცნობებმა მშენებლობის დაჩქარებაზე.

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება საყოველთაოსახალხო საქმედ იქცა, განათლების მუშაკები გრძნობენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების დიდ დახმარებას.

გურჯაანის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საკვანძო წარმოადგენს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. ორ ცვლად მეცადინეობის სალიკვიდაციოდ აქ ფართოდ არის გაჩაღებული სასკოლო მშენებლობა და რაიონი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალი სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყოს. არა მარტო აქ არამედ ბევრგან მართლაც კარგად მიდის როგორც ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა, ისე არსებულის რემონტი.

მაგრამ ეს ნებას არ გვაძლევს გაკაკეთოდ დასკვნა, თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს. უფრო მეტიც — ზოგან ამ საქმეში კვლავ საგანგაშო მდგომარეობაა.

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „პრავდა" თვის 8 აგვისტოს მოწონავე წერილში სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ზოგიერთ სხვა რესპუბლიკასთან ერთად საქართველოშიც ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენას ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის სასკოლო შენობათა გრაფიკის მიხედვით. ვადაზე აშენება. გასაბმეგზიეკტებზე სასკოლო მშენებლობის 7 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52 პროცენტით.

რაშია საქმე, რა გვიშლის ხელს, რა გველობება წინ სასკოლო მშენებლობის გზაზე? მრავალი ობიექტის შემოწმების შედეგები იმას მოწმობს, რომ მტკიცე კონტროლი არ არის დამყარებული სამუშაოთა დროზე და ხარისხიანად შესრულებისადმი, არ იგრძნობა პასუხისმგებლობა და ორგანიზებულობა როგორც საშენი მასალობით მომარაგებაში, ისე ადგილებზე მიზიდული მასალების გამოყენებაში; მშენებლობას განსაკუთრებულ შეფერხებებს უქმნის მუშახელის არარეგულარულად და არასაკმაოდ მიწოდება.

არის სიგნალები იმის შესახებ, რომ ქუთაისის ხე-ტყის ბაზას სასკოლო მშენებლობისათვის გამოყოფილი დახერხილი მასალა ან არასაკმაოდ აქვს, ან რაც აქვს, ისიც უვარგისია მშენებლობისათვის. ამ ბაზის ხე-ტყის მასალა სხვადასხვა დროს დაიწუნეს ტყიბულის, ცაგერის და ზოგერთმა სხვა სარემონტო-სამშენებლო უბანმა. „სკოლების რემონტისათვის სამტრედიის ხე-ტყის ბაზაში გამოყოფილი ხის მასალები სრულიად უვარგისია, ამიტომ ვერ ვლებულობთ, სამუშაოები გვეშლება...", — იტყობინება ჩოხატაურის სარემონტო-სამშენებლო უბანი.

სკოლებში მიშენება-დაშენების სამუშაოებს ისიც აფერხებს, რომ ქუთაისის, სამტრედიისა და თბილისის ხე-ტყის ბაზები მშენებლებს ვერ ამარაგებენ საჭირო მასალებით. მშენებლებსა და მერემონტეებს აკლიათ ხაოჭეები, დახერხილი ფიცარი იატაკისათვის.

ახალციხის, ხაშურის, ბორჯომის, გორის, ქარელის სკოლების მიშენება-დაშენებისათვის საჭირო აგური მომარაგებისა და გასაღების ორგანიზაციებს გამოყოფილი ჰქონდათ თბილისის ქარხნებიდან (900.000 ცალი). ამ ქარხნებიდან რკინიგზით გზაზედა არ ხდება, მანქანებით — კი ფირხდებოდა და თანაც დიდ ხარჯებს იწვევდა. ამას ამართლებდნენ ამა თუ იმ ქარხანაში ფონდის უქონლობით. ამიტომ ზემოაღნიშნული ობიექტებისათვის აგური დიდი ხანია არ გამოყოფილა ისეთი ახლო საწარმოებიდან, როგორიც არის ახალციხისა და ხაშურის აგურის ქარხნები. ცხაკაიას რაიონში არსებობს ნოსირის აგურის ერთ-ერთი უძველესი ქარხანა. ხოლო წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, ხობის, ფოთისა და თვით ცხაკაიას რაიონებისათვის აგური გამოყოფილია... სამტრედიის ქარხნიდან. განა ეს საკვირველი არაორგანიზებულობა არ არის? დროა დამყარდეს წესრიგი საშენი მასალების მომარაგება-განაწილებაში!

დრო ცოტა რჩება, დიდძალი სამუშაო კი წინ არის.

განა მარტო სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები გვაწუხებს. უნდა მოვამზადოთ სკოლების მოწყობა, მათი მომარაგება ინვენტარით, სასწავლო ხელსაწყოიარაღებით, სათბობით. ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ფორმის ტანსაცმელი, სახელმძღვანელო წიგნები თუ რვეულები, ჩანთები თუ სხვა საჭირო ნივთები, სკოლებს უნდა ჰყავდეთ საკმაო მასწავლებლები და სპეციალისტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სამუშაოდ ჩასული მასწავლებლებისა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ლაგოდეხის რაიონში კი მასწავლებლებსა სამი საცხოვრებელი სახლია, რომლებიც სხვა დანიშნულებისათვისაა გამოყენებული.

სკოლებს დიდად შეუწყობთ ხელს თუ დროზე გამოვცემთ პროგრამებს, დღეისათვის კი ამ მხრივ სახარბიელო სურათი არა გვაქვს.

ახლოვდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების ფრონტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — მასწავლებლთა ყრილობის თათბირები. ეჭვი არ არის, რომ ეს თათბირები დასახავენ ზრდის, სასკოლო მუშაობის ნათელ პროგრამას და ხელს შეუწყობენ ჩვენს პედაგოგ-მასწავლებლებს თავიანთ მოღვაწეობაში. საჭიროა ფართოდ გაჩაღდეს მუშაობა ამ თათბირების ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

ღირსეულად გავამართლოთ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მშობლიური ზრუნვა და საუკეთესოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის!

არც ერთი საათი უქმად!

მთელი ძალები ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას!

ქარხანა — ურეკლამაციოდ

ახალციხე. (საკ. კორ.). ხილ.-ბოსტნეულის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაფლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად.

ქარხნის კოლექტივმა ივლისის დავალება 103 პროცენტით შეასრულა. მოგზამარეველს გაეგზავნა 300 ათასი ცალი პიროგითი ქილა კიტრის კონსერვი.

ქარხანას გამოშვებულ პროდუქციაზე მოგზამარეველისაგან რეკლამაცია არ მიუღია.

ქუთაისიდან კუბაში, გერმანიაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც იცნობენ სხვადასხვა ტიპის ელექტრომანქანებს, არტეზიულ ტუმბოებსა და საშახტო ელმავლებს, რომლებსაც ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა უშვებს.

ამას წინათ არტეზიული წყალსატუმბები და საშახტო ელმავლები გაიგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აგრეთვე ბულგარეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკებსა და ავღანეთში. ქარხანას დაკვეთები მიღებული აქვს აგრეთვე იუგოსლავიიდან, რუმინეთიდან და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან.

კუბის რესპუბლიკის დაკვეთით, პირველად საბჭოთა კავშირში, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა აითვისა და დაამზადა დიზელსატუმბავი დანადგარი „ანდუ-14-1-4". ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქარხნიდან ზოგიერთი დაკომპლექტებული მოწყობილობის მიღების შემდეგ ქარხანა აგვისტოში დიზელიანი დანადგარების მქონე 30 ცალ არტეზიულ ტუმბოს გაგზავნის თავისუფლების კენძეულზე, ხოლო წლის ბოლომდე 103-ს.

საგულისხმოა, რომ ქარხნის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობის 10 პროცენტი საექსპორტო დაკვეთებზე მოდის.

ბრაზავილი — ბრაზავილი

რუსთავი-ზაპოროჟიე

მეგობრობის კედელი

რუსთავი. (საკ. კორ.). ტრადიციული მეგობრობა აკავშირებს რუსთავისა და ზაპოროჟიეს მშენებლებს. ამ დღეებში ზაპოროჟიედან დაბრუნდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტის დელეგაცია, რომელსაც ამავე ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი ო. ჭყონია. ქართველი მშენებლები გაეცნენ უკრაინელ თანამოსაქმეთა მუშაობის გამოცდილებას და შეჯამეს ნახევარი წლის შეჯიბრების შედეგები.

ქართველ მშენებლებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა უკრაინელი კოლეგების გამოცდილებამ ბადური გარნიეგენისა და მექანიზაციის მადალი დონის დანერგვის საქმეში.

ქართველმა მშენებლებმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. ბასილაშვილმა სამშენებლო მოედანზე ინახულა თავისი უკრაინელი მეგობარი, უკრაინის სსრ დამსახურებული მშენებელი პ. კოლოდიაჟნი. უკვე მესამე წელია, რაც მათ შორის ინდივიდუალური სოციალისტური შეჯიბრებაა გაშლილი. ქართველმა და უკრაინელმა მშენებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება. ლ. ბასილაშვილმა პ. კოლოდიაჟნისთან ერთად დაამონტაჟა საცხოვრებელი სახლის რკინაბეტონის კონსტრუქციის კედელი.

ამ კედელს მეგობრობის კედელი ეწოდა.

მინდვრებსა და პლანტაციებში

შრომითი პატაკები

ფელს კარგად იშრომეს ქარელის რაიონის მეხილეებმა, — გვაცნობეს საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. მაღალაშვილმა**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. კოპაძემ** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **კ. შუბითიძემ.** რაიონის მშრომელებმა 10 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი ხილის მოყიდვის დავალება.

რაიონის მეხილეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.473 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.220 ტონისა. ქარელელ მეხილეთა გადაწყვეტილებაა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 500 ტონა ხილი.

შეასრულეს წლიური გეგმები

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის კოლმეურნეობის წევრმა **ლამარა ტულუშმა** ყოველგვარ ამინდში ფოთლის კრეფის შედეგად უკვე შეასრულა „მწვანე ოქროს" კრეფის წლიური გეგმა. მან 0,5 ჰექტარზე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.550 კილოგრამისა მიიღო 2.572 კილოგრამი ფოთოლი. ამავე კოლმეურნეობის წევრს **ლილი ბაბუჩარიას** 0,5 ჰექტარზე წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.200 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ფაქტიურად დავალებას 208 კილოგრამით გადააჭარბა. ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით განაღდეს ამავე კოლმეურნეობის წევრებმა **ეთერ მურვანიძემ** და **თინა რუსიძემ.**

ბალის რაიონის მუხურის კოლმეურნეობის წევრმა **ლამარა თოდუამ** ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა უკვე მოკრიფა 5 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო", ხოლო **ციალა გვალიამ** 2.500 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 3.200 კილოგრამი.

დაწინაურებულნი

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის სოფელ ვალეს ფ. ძახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერი ტ. ახპანიძე ნაცვლად რვა ჰექტარისა ყოველდღიურად 10-11 ჰექტარ პურეულს მკის. მას არც ი. ზითარიშვილი ჩამოუვარდება.

პურეულის მკაში წინ მიდის ახალციხის საბჭოთა მეურნეობა-სანერგის კომბაინერი ხ. ჩხეტუნიძე. ოთხ სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 43 ჰექტარზე ნაცვლად 36 ჰექტარისა. დაწინაურდნენ აგრეთვე სოფლები: არლის, ასპინძის, სხვილისის, წირის, მუხნის, რუსთაველის კოლმეურნეობებისა და აუყურის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები.

შ. მაისურაძე.

პურის ხვავი

ცხინვალის პურის ყანებში სიუხვის თვალი ტრიალებს. მოდის ოქროსფერი ხორბალი.

გეგმით სამხრეთ ოსეთის ოლქმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 840 ტონა პური და 330 ტონა ქერი. უკვე მიყიდულია 478 ტონა პური და 120 ტონა ქერი.

სახელმწიფოსათვის ხორბლის მოყიდვაში დაწინაურდა ერედვის საბჭოთა მეურნეობა. მათ გეგმით 100 ტონა ხორბალი უნდა მიეყიდათ. ფაქტიურად სახელმწიფოს უკვე მისცეს 250 ტონა მარცვალი. მანქანები კვლავ ყოველდღე ეზიდებიან ხარისხოვან ხორბალს.

ერედველებს მხარს უწყობენ თამარაშენელები. მათ სახელმწიფოს 243 ტონა პური მიჰყიდეს. ამ საქმეში თავი ისახელეს ზნაურის რაიონის ქვათეთრის, ველების, ავნევის კოლმეურნეობებმა.

მ. ცხოვრებოვა,
სოფლკორი.

ზეიმი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში

11 აგვისტოს კორეის განთავისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ფხენიანს გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. შელუბინი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის ენაყოფილების გამგის მოადგილე ა. ფ. კუდრიაშოვი. სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ი. სერგეევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ნ. გ. სუდარიკოვი.

შერმენტიევოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვებმა. (საკდესი).



მოსკოვი დღეს. დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთი რაიონი. ვერნადსკის პროსპექტი. მარჯვნივ — შენდება „რადიოელექტრონიკის" ახალი შენობა, რომელშიც სამეცნიერო დაწესებულებები მოთავსდება.

ფოტო ვ. კუნოვისა. (საკდესის ფოტოკრონიკა).

სუათ ჰაირი ურგიუპლუ სსრ კავშირში

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სუათ ჰაირი ურგიუპლუ 10 აგვისტოს ეწვია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. სატელეფონ სტუმრს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში. მან ილაპარაკა საბჭოთა მეცნიერების განვითარებისა და მიღწევების შესახებ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სტრუქტურისა და გეგმების შესახებ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა მ. ვ. კელდიშს იმისათვის, რომ გააცნო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა. ჩვენს ქვეყნებს შორის საუკუნეების განმავლობაში იყო კონტაქტები, თქვა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა. ჩვენ გვსურს ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ეს კონტაქტები კვლავაც მტკიცდებოდეს.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სუათ ჰაირი ურგიუპლუ, რომელიც მოსკოვში იმყოფება, 11 აგვისტოს ეწვია მოსკოვის საავიაციო ქარხანას.

სპატიო სტუმარსა და მის თანამგზავრებს მეხვდნენ საავიაციო მრეწველობის მინისტრი პ. ვ. დემენტიევი, ქარხნის დირექტორი პ. ა. ვორონინი. მათ თურქეთის პრემიერს გააცნეს ჩვენი ქვეყნის უძველესი საავიაციო საწარმო. ამ ქარხანამ ომის შემდეგ აითვისა „ილ-14" სამგზავრო ორმოტორიანი თვითმფრინავების წარმოება, შემდეგ თანამედროვე „ილ-18" ტურბოხრახნიანი ლაინერის წარმოება.

თურქმა სტუმრებმა აღნიშნეს „ილ-18"-ის, რომლითაც ისინი ანკარიდან მოსკოვს მოფრინავდნენ, ჩინებული საფრენოსნო თვისებანი. ს. ჰ. ურგიუპლუ და თურქეთის სხვა წარმომადგენლები დიდი ინტერესით გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას, აკვირდებოდნენ, თუ როგორ იბადებოდა პირდაპირ მათ თვალწინ საჰაერო გიგანტები.

მოსკოვი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს თურქეთის პრემიერ-მინისტრი სუათ ჰაირი ურგიუპლუ და მისი თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი ეწვიენენ მუზეუმ-პანორამას „ბოროდინოს ბრძოლას". სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს რუსული ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში. ისინი იყვნენ აგრეთვე „კუტუზოვის ქოხში," სადაც 1812 წლის სექტემბერში სხდომას მართავდა რუსეთის არმიის სამხედრო საბჭო.

სტუმრად ბრაზავილში

ბრაზავილი, 10 აგვისტო. (საკდესი). აქ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს კონგოს რესპუბლიკის (ბრაზავილი) დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებაში.

ბრაზავილი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს ბრაზავილის კონგოს პრეზიდენტმა ეროვნული რევოლუციური მოძრაობის მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა მასამბა-დებამ მიიღო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი.

იმავე საღამოს მასამბა-დებამ სადილი გამართა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1965 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა

ამხანაგი ხამრაკულ ტურსუნკულოვი

საკოლმეურნეო წარმოების გამოჩენილი ორგანიზატორი, უზბეკეთის სსრ ტაჯენტის ოლქის იანგიიულის რაიონის კოლმეურნეობა „შარკ იულდულზის" თავმჯდომარე, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩვენს ოდიდ ოკეანეში

პირველი ტიუმენური

ტიუმენი, 11 აგვისტო. (საკდესი). ტიუმენის ოლქის მეწყობოქმედებმა დამამზადებელ პუნქტებს გაუგზავნეს პირველი მილიონი ფუთი მარცვალი.

მიუხედავად უამინდობისა, მექანიზატორებმა პირველსავე დღეს მაღალი ტემპი განაკითარეს. წინ არიან ია ბოკოვის, ვაგანის, ბოლშმანოვის, ტიუმენის რაიონების მეურნეობები.

აზერბაიჯანმა შეასრულა პურის დამგადების გეგმა

აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 4 აგვისტოსათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 110,0 ათასზე მეტი ტონა მარცვალი და 100,5 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 93,4 ათასი ტონა ძვირფასი სასურსათო კულტურა — ხორბალი. კარგად მოაწყეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა მასალის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც გეგმით გათვალისწინებული 4.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.926 ტონა ხორბალი, ნუხის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 11.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 11.500 ტონა ხორბალი, ასტრახანბაზარის რაიონის საბჭოთა მეურნეობამ „ბაქოელმა მუშამ" გეგმით გათვალისწინებული 650 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 2.100 ტონა.

ამავე რაიონის კოლმეურნეობა „წითელმა პარტიზანმა" გეგმით გათვალისწინებული 600 ტონის ნაცვლად — 1.100 ტონა. სახელ მწიფოსათვის მარცვლეულის მოყიდვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ქდანოვის, ხანლარის, აგჯაბედინის, ბარდისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

სახელმწიფოსათვის პურეულის მოყიდვა გრძელდება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 105 პროცენტით შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის ამრეშუმის პარკის მოყიდვის გეგმა.

რესპუბლიკის მეურნეობანი საჭირო რაოდენობით იმარაგებენ მარცვლეული და პარკოსანი კულტურების თესლს, ქმნიან სამარცვლე-საფურაჟე და სხვა ფონდებს, პურს ურიგებენ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებს.

პროვოკაცია საზღვარზე

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). 10 აგვისტოს დასავლეთ გერმანიის თბომავალმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი მდინარე ელბაზე, იუწყება ადნ-ის საარგენტო. თბომავალი შევიდა იმ წყლებში, რომლებიც შვერინის ოლქს ეკუთვნის, და არ შეასრულა მესაზღვრეთა მრავალი მოთხოვნა შეჩერებულიყო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით მესაზღვრეებმა ცეცხლი დაუშინეს თბომავალს, რის შედეგადაც დასავლეთ გერმანიის გემი დაზიანდა.

საზღვრის ამ დარღვევას უკანასკნელ კვირაში წინ უსწრებდა მთელი რიგი ანალოგიური პროვოკაციები.

სუბანდრიოს განცხადება

ჯაკარტა, 11 აგვისტო. (საკდესი). აქ ორ დღეს მიმდინარეობდა პრეზიდენტ სუკარნოს, საგარეო საქმეთა მინისტრის სუბანდრიოსა და არმიის შტაბის უფროსის იანის შეხვედრები, რომლებზეც განიხილეს მალაიზიიდან სინგაპურის გამოსვლის შედეგები, და კერძოდ, ის საკითხი, რომ საჭიროა ამასთან დაკავშირებით გაძლიერდეს კონფრონტაციის პოლიტიკა ნეოკოლონიალისტური მალაიზიის მიმართ, იუწყება ანტარის საინფორმაციო სააგენტო. თავდასხმების შედეგად დახოცილი და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები. ამერიკელმა იმპერიალისტებმა 25 ივლისიდან 3 აგვისტომდე არაერთხელ დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ინდონეზიის ტერიტორიაზე. ინდონეზიელ ბავშვებს, ქალებსა და ხანდაზმულ ადამიანებს ბომბებიანი ფრენა-ბალნებიდან ესროდნენ ნაღმებს, ტყვიებს, ბომბებს, ნაღმებს, ტყვიებს, ბომბებს ... ინდონეზიელ ხალხს, ინდონეზიელ ბავშვებს, ქალებს, ხანდაზმულ ადამიანებს ... ეს ... ინდონეზიელ ... ინდონეზიელ ... ინდონეზიელ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

მექანიზაცია და მექანიზაცია

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების სისხლხორცეული საქმეა. ახლა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო შემოქმედებითად მუშაობენ. გაიზარდა მათი ბრძოლისუნარიანობა, სერიოზულ ყურადღებას უმობენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგს, კერძოდ მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

უკანასკნელ წლებში ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური შეიარაღება საკმაოდ გაიზარდა. ამჟამად საზოგადოებრივ მინდვრებში მუშაობს 270-მდე პირობითი ტრაქტორი. ძველი ტექნიკა შეიცვალა ახალი მძლავრი და სრულყოფილი ტექნიკით, წარმოებაში მტკიცედ ინერგება ვენახის ვიწროგამაბრიტიანი ტ-30-ვ მარკის ტრაქტორების მუშაობა. მოწინავე მექანიზატორთა შრომითი გამოცდილება.

მექანიზაციის ფართოდ დანერგვას მთელი რიგი ფაქტორები განაპირობებს. მათ შორის მთავარია **რელიეფი**. ჩვენი რაიონის ტერიტორია თავისი მდებარეობით ერთფეროვანი როდია. ნაწილი უმავრავს დაბლობებს, ხოლო უმთავრესად წარმოადგენს მაღლობ და ზოგან მთაგორაკიან ადგილებს მდინარეთა ღრმა ხეეებით, რომლებიც თანდათან იშლებიან მის დასავლეთ ნაწილში, საიდანაც იწყება კოლხეთის დაბლობი. რელიეფის უმეტეს ნაწილს საკმაოდ დიდი დახრილობა აქვს, რაც იწვევს ეროზიული მოვლენების და ამასთან ერთად მნიშვნელოვნად ზღუდავს სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას.

კოლმეურნეობათა ნაწილი ძნელმისადგომ მთაგორაკიან ადგილებშია განლაგებული (ბოსლეთის, ილემის, ძირულის, მარტოფთაბის, წიფლავაკის და სხვ). მათი საკარეულების უმრავლესობა გაფანტულია მთებზე და ფერდობებზე. ნაკვეთები პატარებია და უმთავრესად არასწორი მრავალკუთხიანი ფორმა აქვთ. მაგალითად, სოფელ ბოსლეთის კოლმეურნეობას სულ აქვს 210 ჰექტარი სახნავსათესი და 100-მდე ჰექტარზე მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც 510-ზე მეტ ნაკვეთზეა გაფანტული. უმთავრესად ნაკვეთების საშუალო სიდიდე 0,5-1 ჰექტარს არ აღემატება. ასეთივე მდგომარეობაა მთიანი და გორაკ-ბორცვიანი ზონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც.

აღნიშნული თავისებურებანი შესაბამის მოთხოვნილებებს უყენებს მექანიზაციის ფართო მასშტაბით განხორციელებას და ხშირად ზღუდავს არსებული საოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ გამოყენებას, იწვევს აუცილებლად საბოლო და კატარა ბაბარიტის ტრაქტორების და შესაბამისი საოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საბოროტას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შედეგად დიდამალა ტექნიკამ მოიყარა თავი კოლმეურნეობათა ხელში. 1958 წელთან შედარებით წელს ტრაქტორების რაოდენობა რაიონში ორჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ დიდი მოცულობის საოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხელით ან ცოცხალი გამწევი ძალის საშუალებით სრულდება.

დაბალია პირობითი 15-ძალიანი ტრაქტორის წლიური დატვირთვა. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებში იგი საშუალოდ 84 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო „საოფლტექნიკის" ტრაქტორების ფაქტიური გამომუშავება ამ წელს 230 ჰექტარზე მეტია. კოლმეურნეობებში ტრაქტორთა დაბალი გამოშუშავება ერთი მხრივ გამოწვეულია სატრაქტორო პარკის დაკომპლექტებით, როცა ცალკეულ კოლმეურნეობას აქვს სხვადასხვა მარკის მხოლოდ ერთი, ორი ან სამი ტრაქტორი, მათ სრულად ვერ ტვირთავს.

უკანასკნელ წლებში სამანქანო-სატრაქტორო პარკის ხარისხობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, გაიზარდა საერთოდ მექანიზაციის დონე, **მაგრამ ჩვენი რაიონის სამთო პირობათმოძველებულ პირობებში იგი ჯერ კიდევ დაბალია.** ვენახის, ხილეულის და სხვა კულტურების მოვლის მთელი რიგი ძირითადი პროცესები ნაწილ კოლმეურნეობებში სუსტად მექანიზებულია ან სულაც არ არის მექანიზებული. ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რის გამო ზშირად ირღვევა საშუალოთა შესრულების ვადები და აგროტექნიკური მოთხოვნა. ეს ყველაზე უფრო მევენახეობაში იგრძნობა. მევენახეობის მთავარი ამოცანებია დაყენებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ „საქმთავარკონსერვრეხილბოსტანის" მთავარი სამმართველოს სისტემის მეშაკების წინაშე. ახლა სოციალისტური სოფლის მშრომელთა ნაადგარის დამზადება, გადამუშავება და მშრომელთა გახრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ახალი ხილ-ბოსტნეულო, სამამლო მარკის მაღალი ხარისხის საკონსერვო ნაწარმით, დამზადების, წარმოებისა და გასაღების მუშაკთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს დაყენებული.

შვიდწლეულის დამამთავრებელი წლის დაკალების წარმატებით შესრულებისათვის საკონსერვო წარმოების მუშაებმა, იმერეთ-ტაქნიკოსებმა თავდადგე გაიჩაღეს ენერგიული ბრძოლა. იქ, სადაც დროულად მოამზადეს ქარხნები და საამქროები სეზონისათვის, შედეგიც სასურველია. მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებმა მიმდინარე წლის ექვს თვეში სახელმწიფოს გეგმის ზეგით მისცეს 2.977 ათასი მანეთის პროდუქცია.

მიუხედავად ამისა, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში რესპუბლიკაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ქარხნის ბევრი ხელმძღვანელი აუბასუხისმგებლოდ ეკიდება საავჭრო ორგანიზაციების დაკვეთების შესრულებას. მართალია გადაჭარბებით ასრულებენ კონსერვის გამოშვების გეგმებს, სამწუხაროდ, **მხედველობაში არ იღებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, ნაკლებია ბრძოლა ხარისხისათვის.** პროდუქციის გამოშვების დროს ადგილ აქვს წარმოებაში უხარისხო ნედლეულის გამოყენებას, ზოგჯერ ერთი სახის ნედლეულს ცვლიან მეორე სახით, რითაც კონსერვის ხარისხი ეცვამ. ამიტომაც კონსერვის პროდუქციით ვაჭრობა რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ამ საკითხებზე სადირექტორო ორგანიზების მიერ ძიღებული ღონისძიებანი, რომლის შესასრულებლად „საქმთავარკონსერვრეხილბოსტანის" მთავარმა სამმართველომ ფასანა ღონისძიებანი. ამიერიდან შეწყვეტილია ისეთი ასორტიმენტის საკონსერვო პროდუქციის გამოშვება, რომელზეც მოსახლეობაში მოთხოვნილება არ არის.

„საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარი სამმართველოს კოლეგიის მიერ მიღებული ღონისძიების შედეგად უკანასკნელ პერიოდში თბილხილბოსტანვაჭრობის ქსელში ერთგვარად გაუმჯობესდა ქართული მარკის საკონსერვო ნაწარმის ასორტიმენტი, იმ მაღაზიებში, რომლებიც გამგრილებელი წყლით ვაჭრობენ, ახლა ქილებითა და ჩამოსხმით იყიდება ხილკენკრეული და ტომატის ნატურალური წვენები.

ხილის ნატურალური წვენებით ვაჭრობას დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ობიექტებში.

უახლოეს დროში ქ. თბილისში გაიხსნება კეთილმოწყობილი სპეციალიზებული საფირმო მაღაზია კონსერვებით და ნატურალური წვენებით ვაჭრობისათვის. საკონსერვო ნაწარმის ხარისხისა და ასორტიმენტის სისტემატური გაუმჯობესებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა გახრდილი მოთხოვნილება საკეთილო მარკის კონსერვებით.

მეტი ბოსტნეული, ხილი და საკონსერვო ნაწარმი ჩვენს საბჭოთა სუფრას!—

— დამზადების რაციონული კანტორებისა და აფხაზეთსა, აჭარს, საბრეთ ოსეთის ავტონომიური და საოლქო დამზადების სამმართველოების მუშაკები. მასობრივად შემოვიდა მოსავალი. ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გავაძლიეროთ ხილ-ბოსტნეულის აღებისა და დამზადების ტემპები. მიეცეთ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი ხილი და ბოსტნეული!

ახლა ჩვენგან მოსახლეობა მოითხოვს ფართო ასორტიმენტის ხარისხიან პროდუქციას, მომსახურების კულტურის ამაღლებას.

„საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარი სამმართველოს კოლეგია სისტემატურად განიხილავს ამ საკითხებს. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქსელში პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი, ამაღლდა მომსახურების კულტურა. თბილხილბოსტანეაკრობამ მიმდინარე წლის საქონელბრუნვის 6 თვის გეგმა 101,8 პროცენტით შესრულა. დღითიდღე იზრდება იმ მაღაზიების, ფარდულებისა და კიოსკების რიცხვი, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ყოველთვიურ დავალებას.

როგორც ცნობილია, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ბოსტნეულით უკეთ მომსახურების მიზნით - სპეციალიზებულ მერძეველობა-მებოსტნეობის ტრესტში გაერთიანებულია სავარეუბნო საბჭოთა მეურნეობები, რომლთა მოვალეობაა რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ბოსტნეული მიაწოდონ ქალაქის მოსახლეობას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მერძეველობა-მებოსტნეობის ტრესტის მიერ მიღებული ზომების შედეგად უკანასკნელ პერიოდში ნაწილობრივ გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა სპეციალური დამზარისხებელი ბრიგადები. მაგრამ ცალკეული მეურნეობები ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. ჯერაც ვხვდებით უხარისხო პროდუქციის მოწოდების ფაქტებს, ამასთან ერთად ღარიბია საქონლის ასორტიმენტი.

დამზადების პუნქტის ბევრი გამგე ითვალისწინებს მშრომელთა მოთხოვნას და პასუხისმგებლობით ეკიდება პროდუქციის მიღებას და მის ხარისხს. მაგალითად, ვარკეთილის (გამგე ო. ალავერდაშვილი), გარდაბნის (გამგე შ. მახვილაძე) და სოფანლულის (გამგე ვ. ზურაბიანი) დამზადების პუნქტები თითქმის სისტემატურად ხარისხიან ხილსა და ბოსტნეულს აბარებენ საავჭრო ქსელს. ასე არ შეიძლება ითქვას რუისბოლოს დამზადების პუნქტზე. ამას წინათ პუნქტის გამგე გ. ოქროპირიანე უხარისხო პროდუქციის მიღებისა და ქსელში გაგზავნისათვის მთავარი სამმართველოს კოლეგიამ მკაცრად გააფრთხილა. კოწნისის და ვაჩიანის დამზადების პუნქტების გამგეები გ. ვასაძე და გ. გაიშტეხი ბოსტნეულს ხელოვნით, შეუყოწმებლად იღებენ და გზვნიან მაღაზიებისაკენ.

იმისათვის, რომ მკვეთრად ავამაღლოთ ხილეულ და ბოსტნეულით მშრომელთა მომსახურება, საჭიროა ზოგიერთი მტკივნეული საკითხის დროულად მოგვარება. უწინარეს ყოვლისა **უნდა შემოელდეს ბოსტნეულის გზა მომხმარებლამდე.** ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის ახალი წესის უპირატესობა ის არის, რომ პროდუქცია მაღაზიებმა უნდა მიიღონ საბჭოთა მეურნეობებიდან მომხმარებლის მოთხოვნილების მიხედვით.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ **თბილხილბოსტანვაჭრობას საკოლმეურნეო ბაზრებზე გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდეს.** თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობის სახელმწიფო ქსელი კი არადამაკმაყოფილებლად არის განვითარებული. საკოლმეურნეო ბაზრებში ხილ-ბოსტნეულის ვაჭრობის სახელმწიფო ქსელს ფართო გასაქანი უნდა მიეცეს.

დამზადებისა და ხილ-ბოსტანვაჭრობის მუშაკები ამ საღღეისო საკითხებია მოგვარებაში რესპუბლიკის ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების მხარდაჭერასა და დახმარებას მოელიან.

დაპირებებით მშრომელთა სუფრა არ დამშეენდება. ახლა მთავარია ოპერატიულად მოვაწყოთ ხილ-ბოსტნეულის დამზადება და გადამუშავება, საავჭრო ორგანიზაციებს მივაწოდოთ ახალი ბოსტნეული და მაღალხარისხოვანი კონსერვები, **რათა მომხმარებელმა ზუსტი კი არ შეაქციოს ჩვენ მაღაზიებს, სიამოვნებით იყიდოს ჩვენი პროდუქცია და თქვას: კარგია, ასე უნდა მშრომელთა მომსახურება.**

პ. ხოფერია,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის" მთავარი სამმართველოს უფროსი.

ხილი, ბოსტნეული—სუფრას!

მომხმარებელმა რომ სიამოვნებით იყიდოს...



თბილისის № 8 მექანიკურ ქარხანაში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებების დანერგვას. ქარხნის კოლექტივმა ნახევარი წელიწადია, რაც ინჟინერ ვლადიმერ მოშიაშვილის რაციონალიზატორული წინადადებით დაამზადა მოდერნიზებული ოთახის სატელევიზიო ანტენა. ავტორმა თუნუქის არსებული კორპუსი შეცვალა პლასტმასით. ამ წინადადების განხორციელებამ ქარხანას წლიურად 2.380 მანეთის ფულადი ეკონომია მისცა. ახალი სახის ოთახის სატელევიზიო ანტენა გათვალისწინებულია 12 არხზე. იგი ძველთან შედარებით ბევრად უფრო მდგრადი და ლამაზია.

• • •

სურათზე: ტექნიკური კონტროლის ოსტატი ნ. გაგნიძე (მარცხნივ) ამოწმებს მოწინავე მუშის ს. კარაპეტიანის მიერ აწყობილ ოთახის სატელევიზიო ანტენას.

ფოტო და ტექსტი

შ. ჩხეტიანისა.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ნოტარიუსი ჩიოდა"

ფელეტონში „ნოტარიუსი ჩიოდა" მხილებული იყო თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსის მოადგილის გ. დემეტრაშვილის მუშაობის ნაკლოვანებანი. ფელეტონთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ცქიტიშვილი** რედაქციას ატყობინებს:

ბ. ბ. დემეტრაშვილი განთავისუფლებულია თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსის მოადგილის თანამდებობიდან და გაგზავნილია შედარებით ნაკლებ პასუხსაგებ სამუშაოზე.

სასოფლო-სამეურნეო

ასე უნდა ორგანიზება-ვაკი

[illegible]

[illegible] ინსტიტუტი [illegible] ინჟინერი ალექსანდრ [illegible] საცხენეთის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელს ა. ლორსანაძეს. და მართლაც ჟილასაოვის მასაბაძია მისი შრომა და ამაგი სოფლის სკოლისათვის.

ახლა საცხენეთის სკოლაში სარემონტო სამუშაოები მოთავდება და იგი მზად არის ახალი სასწავლო წლის დასაწყებად.

ვ. კაპეკიანი,

ცხინვალი.

სახალხო საქმე

ცხაკაიას რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სახალხო საქმედ არის მიჩნეული.

მაღალხარისხოვნად მოეწყო სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა შენობების რემონტი. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა 18 სკოლას და საბავშვო დაწესებულებას, ხოლო მიმდინარე — 9 სასკოლო შენობას და საბავშვო ბაღს. სპორტსკოლას მიუშენდა 4 ოთახი, დასასრულს უახლოვდება ნოკალაქევის საშუალო სკოლისათვის 6 საკლასო ოთახის მიშენება.

ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული სასკოლო ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად, კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულ იქნა ახალი ხელსაწყოებით.

არის ნაკლიც — სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი დღემდე არა აქვთ ადგილზე.

ს. კუპატაძე,

„კომუნისტის" კორ.

ახალი სკოლა

მნახველის თვალს იზიდავს სოფლის შუაგულში ახლად აშენებული რვაწლიანი სკოლის ორსართულიანი ლამაზი შენობა, რომელიც ამ ერთი წლის წინათ აიგო აქ, ბიჩინგაურთკარში, ენინგალის სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის ინიციატივით. ახალ სკოლას სოფლის ახალგაზრდობა, მშობლები სიხარულით შეხვდნენ. შეძენილია ახალი მერხები, დაფები. მაგიდები, სკამები. ბავშვები მოძარაგებული არიან სასწავლო სახელმძღვანელოებით, მოიწყო სახელოსნო, ქიმიის კაბინეტი, გალამაზდა სამასწავლებლო.

ახლა ბიჩინგაურთკარელი მოსწავლეები სიხარულით ელიან პირველ სექტემბერს.

ვ. ხუციერაული.

სოფლკორი.

ყოველმხრივ მზად არიან

ახალი სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მზად არიან ქოლობნის, პირველი მაისის, ბანკორის, მაიდნის, კეთილარის და სხვა სოფლების სკოლები. ამ სკოლებში წარმატებით ჩატარდა მიმდინარე რემონტი, შეძენილ იქნა სასწავლო ინვენტარი და სხვ.

წელს სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის 26 ათასი მანეთი იხარჯება. კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს სეფეთის, აბაშის საშუალო და ტყვარის რვაწლიან სკოლებს.

ი. თოფურია.

აბაშა.

ქართული ავეჯის საუკეთესო უნდა იყოს

ქართულ ავეჯს მომხმარებელი მაღალ მოთხოვნას უყენებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მოსახლეობის გემოვნება ყოველწლიურად იზრდება. მეავეჯეთა უპირველესი მოვალეობაა ანგარიში გაუწიონ ამ მზარდ მოთხოვნას და აწარმოონ მხოლოდ ისეთი ლამაზი, ხელმისაწვდომი, კომფორტული ავეჯი, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მყიდველის ინტერესებს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ მასობრივი მოხმარების ავეჯის წარმოებაში რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმო საგრძნობლად ჩამორჩება. ამის მიზეზი კი მრავალია. ამ წერილში ზოგ მათგანს შევეხებით.

ჩამორჩენის პირველი მიზეზი ის არის, რომ საწარმოები ჯერ კიდევ არ მარაგდებიან საჭირო ნედლეულით. ავეჯისათვის საჭირო ფილების დამზადების შვიდი თვის დავალება სამმართველოს ხაზით 107 პროცენტით შესრულდა. მაგრამ ეს რაოდენობა მხოლოდ საანგარიშო აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ფილების ნაწილი — 3.900 კუბმეტრის რაოდენობით მეავეჯეებმა უნდა მიიღონ ცენტრალიზებული წესით. საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წლის პირველ ნახევარში სრულიად არ გაითვალისწინა და არ დაგეგმა ფილების მიცემა მეავეჯეებისათვის. ხოლო წლის მეორე ნახევარში 8 ათასი კუბმეტრის ნაცვლად დაგეგეგმა 2.200 კუბმეტრი. რასაკვირველია, ეს საფრთხეში აყენებს ავეჯის წარმოების რესპუბლიკური გეგმის შესრულებას. ავეჯის დამზადების ტექნიკური დონე, მისი ხარისხი ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. გამოშვებულ ავეჯს დაღვილი ამჩნევია წარმოების დაბალი კულტურის ნიშანი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი საწარმო მოძველებული კონსტრუქციის ავეჯის გამოშვებაზე მუშაობს. ეს პირველ რიგში ითქმის თბილისის № 2 და № 4 ავეჯის ფაბრიკებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭის პარტიულ სახელმწიფო კონტროლის კომისიამ შეიმოწმა ხეტყის დამუშავების და ქაღალდის მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და სამართლიანად აღნიშნა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები და დასახა ღონისძიება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ახლა ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დავძლიოთ ეს ჩამორჩენა და ქართულ ავეჯს მოვუპოვოთ საკავშირო პოპულარობა. ამას კი მივაღწევთ მაშინ, როცა ჩვენი საწარმოები გამოუშვებენ მაღალი ტექნიკური დონის, ლამაზ, ხანგამძლე ავეჯს.

სამეოდე წლის წინათ, 1962 წელს, საქართველოში ავეჯის დამზადება-გამოშვებაზე 111 დიდი და პატარა საწარმო მუშაობდა. ახლა კი 19 საწარმო მუშაობს და გვაძლევს 1,9-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 111 საწარმო იძლეოდა. ეს უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რაც მიღწეული იქნა საწარმოთა გამსხვილებით. მეორე ასევე კარგი შედეგის მომცემი ღონისძიება იყო საწარმოთა საგნობრივი სპეციალიზაციის განხორციელება, ავეჯის სარტყმინტის განახლება და გაუმჯობესება. ბევრ საავეჯო საწარმოში შეცვალეს მძიმეულები მოწყობილობა, დავდგით და გავმართეთ დასაფანერებელი წნეხები, ლაქდამსხმელი მანქანები, თანამედროვე ტექნოლოგიის შესაბამისად დადგაკეთეთ და ავამუშავეთ მერქნის საშრობი კამერები, დავნერგეთ თანამედროვე პროგრესული მოსაპირკეთებელი მასალებისა და წებოების გამოყენება. ყოველივე ამის შედეგად ავეჯის ხარისხი და გარეგნობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. ეს გაუმჯობესება განსაკუთრებით მკაფიოდ დაეტყო ახალდაბის, თბილისისა და მარელისის საავეჯო ფაბრიკების პროდუქციას.

საავეჯო მრეწველობის მტკივნეული საკითხები

მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ საცხოვრებელი ბინის ავეჯის კომპლექტების გამოშვება, თუმცა კარგად ვიცით, რომ ახლა ყველაზე დიდი მოთხოვნილება სწორედ ასეთ ავეჯზეა. ხე-ტყის დამუშავებისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს საავეჯო საწარმოთა ხელმძღვანელები ნაკლებ მონდომებას იჩენენ ავეჯის კომფორტულობის ამაღლებისათვის, უხალისოდ ხვდებიან ავეჯის ასორტიმენტის შეცვლას, თუმცა ბაზრის კონიუნქტურა აშკარად გვიჩვენებს, რომ საჭიროა საავეჯო საწარმოთა კოლექტივებმა ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად გარდაქმნან მუშაობა, ამის მიხედვით შეცვალონ ასორტიმენტი და გააძლიერონ მეტწილად პირველი და მეორე კლასით მოპირკეთებული ავეჯის გამოშვება.

ჩვენი რესპუბლიკის საავეჯო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების სადღეისო, გადაუდებელი ამოცანაა ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როცა ქართული წარმოების ავეჯი მომხმარებელთა გაზრდილი გემოვნების შესაფერისი, კომფორტულობის მხრივ მოსაწონი და ხელმისაწვდომი იქნება, როცა მომხმარებლები დაინტერესდებიან მისი შეძენით, ჯერ ჩვენი მეავეჯეები შორს არიან ასეთი მდგომარეობისაგან და ჩვენი ავეჯის ხარისხიც ამ დონემდე არ არის ასული. დაბალი ხარისხის ავეჯის გამოშვების მხრივ არასახარბიელოდ გამოირჩევიან თბილისის საავეჯო საწარმოთა გაერთიანება „განთიადი" (დირექტორი ბ. დუნდუა), ბათუმის ხისდამშუშავებელი კომბინატის (დირექტორი გ. ღლონტი) და ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის (დირექტორი ლ. ცხოვრებოვი) კოლექტივები, გასული 1964 წლისა და მიმდინარე 1965 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში გამოშვებული ავეჯიდან 22 პროცენტი ამ საწარმოებს უკან დაუბრუნდათ როგორც უხარისხო.

გადაჭრით უნდა გარდაგქმნათ, რადიკალურად გავაჯანსაღოთ ჩვენი საავეჯო მრეწველობის მუშაობა. ვფიქრობთ, ამისათვის საჭიროა არა მარტო საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება, არამედ ამასთან პროგრესული მასალებით, სათანადო ნედლეულითა და ახალი, გაუმჯობესებული ტიპის მანქანა-დანადგარებით საწარმოთა აღჭურვა-მომარაგების საქმის მოწესრიგება.

პირველ რიგში წელსვე უნდა მოვახსნათ წარმოებიდან ყველა მოძველებული ტიპის ავეჯი; დაუყოვნებლივ უნდა შეგეფგეთ უნიფიცირებული კვანძებისა და დეტალებისაგან ავეჯის კომპლექტების გამოშვებას; აუცილებლად უნდა მოვამაგაროთ თვითეული საწარმოსათვის სულ ცოტა ორი-სამი ტიპის ავეჯის კომპლექტის დაპროექტება და საავეჯო ორგანიზაციებთან შეთანხმებით საჭიროებელი ნიმუშების გამოშვება.

ამ საქმეში საავეჯო საწარმოებს საქმით უნდა გაუწიონ დახმარება სპეციალურმა სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროომ, რომელიც ახლა შეიქმნა სამმართველოსთან.

დროა კომფორტული ავეჯის წარმოებაში გადავიდეთ პოლიმერული მასალების ფართოდ გამოყენებაზე. განვსაზღვროთ ავეჯის გაბარიტული ზომები მათი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად, ავამაღლოთ ავეჯის მოპირკეთების კლასი. ხე-ტყის დამუშავებისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოში დავამუშავეთ მთელი რიგი ღონისძიებანი ავეჯის ხარისხის გადაჭრით ამაღლების უზრუნველსაყოფად. გეზი აღებულია იქითკენ, რომ მასობრივად დავნერგოთ ავეჯის ე. წ. კომბინირებული მოპირკეთება.

ამასთან გათვალისწინებულია უახლოეს წლებშივე გადავიდეთ ავეჯის კონსტრუქციული ელემენტების დასამზადებლად პოლიმერული მასალების მასობრივად გამოყენებაზე და დავნერგოთ საავეჯო წარმოების თითქმის ყველა შრომატევადი ოპერაციის კომპლექსური მექანიზაცია და პროგრესული ტექნოლოგია.

მაგრამ მთავარ ამოცანად მაინც რჩება საწარმოთა შეუფერებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მოწესრიგება. ცხადია, ვერავითარი ტექნოლოგია და ვერავითარი ტექნიკა ვერ აამაღლებს ავეჯის ხარისხს, თუ არა გვაქვს ამ ავეჯის გასაკეთებელი მასალები. ამ მხრივ საქმე ისე ვერა გვაქვს, როგორც სასურველია. მაგალითად წელს საავეჯო მრეწველობის საწარმოებს საქართველოს სტყეო მეურნეობის სამმართველომ დაუკლო 6.788 კუბმეტრი წიფლის დასახერხი მასალა. ახმეტის ხის დამმუშავებელ კომბინატს ვერ მისცეს 1.823 კუბმეტრი ხე-ტყე. მცხეთის ასანთის ფაბრიკას — 450 კუბმეტრი, სადმელის ხე-ტყის ქარხანას — 250 კუბმეტრი, თბილისის ხის დამმუშავებელ კომბინატს — 1.635 კუბმეტრი, თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკას — 280 კუბმეტრი და ა. შ. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ თავდაპირველად მოსაგვარებელია სწორედ მომარაგების საკითხი, რაშიც მფლელთა სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს (უფროსი ამხ. ი. ჩოდრიშვილი) და სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მომარაგება-გასაღების სამმართველოს (უფროსი ამხ. ა. მარჯანიშვილი) ქმედითს დახმარებას.

მასობრივი, კომფორტული ავეჯისათვის საჭიროა მაღალხარისხოვანი ფურნერატურა. ამ ფურნერატურას გვიმზადებს და გვაძლევს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს თბილისის მესამე მექანიკური ქარხანა. მერეჯეები დახმარებას მოგვლითან ამ ქარხნის კოლექტივისაგან. „მხოლოდ მაღალხარისხოვანი ფურნერატურა მეავეჯეებს!" — ასეთი დევიზით უნდა იმუშაოს ამ ქარხნის კოლექტივმა ჩვენი დაკვეთის შესასრულებლად.

ბოლოს მინდა აღვნიშნო ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ავეჯის საავაჭრო ქსელსა და ავეჯის წარმოების ზრდას შორის. საავეჯო მაღაზიები მეტისმეტად დაბალითვალი არიან. ზოგ მაღაზიაში იმის საშუალებაც არა აქვთ, რომ გასაყიდი ავეჯის ვიტრაჟი მოაწყონ, მეგზმარებლებს დაანახვონ, თუ დღეს რა იყიდება მაღაზიაში. ეს გარემოება უნდა გათვალისწინოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, გააფართოოს ავეჯის მაღაზიები, მოაწყოს საჭიროებელი სტენდები, შეიქმნას ყველა პირობა კულტურული საბჭოთა ვაჭრობისათვის.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება, შეუნელებელი ბრძოლა დაბრკოლებათა დასაძლევად უთუოდ მოგვცემს კარგ შედეგს და ეს იქნება იმის იმედის მომცემი, რომ ქართული მასობრივი ავეჯის წარმოება მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენი ქვეყნის საავეჯო წარმოებაში.

ვ. ვარაზაშვილი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყის დამუშავებისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

ეს ეხმარება პარტბიუროს მდივანს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს „ზესტაფონის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტში საორგანიზაციო განყოფილებამ ახლახან მოაწყო გამოფენა პარტიული ბიუროების მდივნების დასახმარებლად. აქ წარმოდგენილია სანიმუშო მასალები პარტიულ - ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. ამხანაგები ეცნობიან სკკპ ოგანიზაციებ ზეკვრად და კანდიდატად მიღებისათვის ანკეტების შევსების ნიმუშებს. აქვეა პარტიაში შემსვლელთა განცხადების, რეკომენდაციის, კომუნისტთა აღრიცხვის ჟურნალის, საწევრო ანარიცხების აკრეფისა და უწყებების გაფორმების ნიმუშები.

ეს კარგი ღონისძიება მუშაობაში ეხმარება პარტბიუროების მდივნებს.



წარმოების მაღალი კულტურა—ყველა საწარმოს

ფაგრიკის პატარძალი

ჟუთაისის ავეჯის ფაბრიკაში რომ შეხვალთ, თავი აყვავებულ ბაღში აღმოჩნდებთ. საწარმოო კორპუსების გაყოლებით ლამაზი დეკორაციული მცენარეები და ბალნეები. ეს თვითონ მეავეჯეებმა აქციეს ხრიოკი ადგილი ხეივნებად და ბაღნარად.

მიმდინარე წელს ფაბრიკის მთელი ტერიტორია მოაშანდეკეს, ხოლო ეზოში დამატებით დარგეს ორასი ძირი დაფნა, აქ ისეთი სისუფთავეა, რომ კაცს ასანთის ღერის გადაგდებაც დაეწანება.

ასეა ეზოში, კიდევ უფრო მეტი სისუფთავე და სილამაზეა საამქროებში. წელს ფაბრიკის ყველა კორპუსსა და საამქროში გამოიცვალა კარ-ფანჯრები. მოეწყო შემწოვი ვენტილაცია, რითაც ხის ნარჩენები და მტვერი ავტომატურად გადაიწოვება საქვაბეში. ამან გადაჭრით აამაღლა წარმოების კულტურა.

ყველა საამქროში მოეწყო ადგილობრივი ჰაერის გამნაოვებელი და გამაგრილებელი კამერა.

ფაბრიკის პატარძალი. ასე ეძახიან ავეჯის

მრისხანე პროტესტი

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ პროტესტი განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. დეპეშაში, რომელიც ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნომ გაგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონსონს, კერძოდ, ნათქვამია: პროტესტს ვაცხადებთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ომი სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკამ გაიყვანოს ძალდან მთელი ჯარები, მტკიცედ დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი.

სოფლისა და სამეგობრო ფეურნეობის მუშაოელთა კონფედერაციის საერთაშორისო გაერთიანებამ, რომელიც შედის პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ძმურ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის მშვიდობისათვის მებრძოლებმა ვაშინგტონში მოაწყეს დიდი საპროტესტო დემონსტრაცია ბინძური ომის წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამში. ვაშინგტონის მონუმენტის კვარცხლბეკთან ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს „მშვიდობის დეკლარაცია“. ვიეტნამელი ხალხს იმიტომ ვუცხადებთ მშვიდობას, რომ მილიონობით ამერიკელს იმედი ჰქონდა და მოელოდა, რომ მათი ამბები პრეზიდენტის 1964 წლის არჩევნებში ჩვენს ქვეყანას ომიდან აიშორებდნენ, მშვიდობას მოუტანდნენ, აგრეთვე იმიტომ, რომ ეს იმედები და მოლოდინი ვიეტნამში გაცრუვდა, ნათქვამია დეკლარაციაში. დეკლარაციის მიღებას შემდეგ ვიეტნამის მშვიდობისათვის რამდენიმე ასეული მებრძოლი, პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, გაემართა კონგრესის შენობისაკენ. აქ დემონსტრანტებმა მოაწყეს ახალი მიტინგი, რომელშიც 1.500 კაცი მონაწილეობდა. მშვიდობისათვის 200-ზე მეტი მებრძოლი, რომლებსაც სურდათ „მშვიდობის დეკლარაცია“ ჩაეყინათ �პრეზიდენტ ჯონსონის შენობის წინ, დაკავებულნი.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტმა მილიონობით საბჭოთა ადამიანის სახელით მრისხანე პროტესტი გამოთქვა ამერიკის იმპერიალიზმის ახალი დანაშაულებრივი აქტების წინააღმდეგ. კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა პატიოსანი ადამიანი შეძრწუნებულია იმ საჯარულ ბოროტმოქმედებათა გამო, რომლებსაც ამერიკის სამხედრო ხროვა ძალადაბჯარულ ვიეტნამში სჩადის, და ამერიკის იმპერიალიზმის ახალი უაღრესად საშიში ნაბიჯების გამო ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის გაფართოებისა და გაძლიერების გზაზე.

მაგრამ მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელმაც ქედი მოახრევინოს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხს. აგრესორებს ვერ უშველის ვერც ახალი ათასობით ინტერვენტი, ვერც ნაპალმი, ვერც მომწყვალელი გაზები. ვიეტნამელი ხალხი სამართლიანი საქმისათვის იბრძვის და გაიმარჯვებს. მას მხარს უჭერენ სოციალისტური ქვეყნები, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მილიონობით მებრძოლი ყველა კონტინენტზე.

საბჭოთა ადამიანები სოლიდარობას უცხადებენ მოძმე ვიეტნამელ ხალხს, ხაზგასმულია განცხადებაში, და მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის პრაქტიკულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ყოველმხრივი ეხმარება გაეწიოს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის მოსაგერიებლად. (საკდესი).

ბრაზავილი მიესალმება

ბრაზავილი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასამბა-დებამ საპატიო სტუმრად ჩამოვიდა საბჭოთა კოსმონავტი გერმან ტიტოვი. გერმან ტიტოვი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებებში.

ბრაზავილი, 11 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი რ. სერებრენიკოვი იტყობინება:

კონგოს ბრაზავილის კონგოს პრეზიდენტმა მასამბა-დებამ თავის სასახლეში მიიღო საბჭოთა კოსმონავტი-2 გ. ს. ტიტოვი, რომელიც აქ ჩამოვიდა რევოლუციის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

პრეზიდენტმა მასამბა-დებამ, რომელიც გულთბილად მიეგება საბჭოთა კოსმონავტს, განაცხადა, რომ ბრაზავილის კონგოს ხალხისათვის მისი ჩამოსვლა დიდი პატივია. კონგოელი ხალხი ამაყობს იმით, რომ მათთან სტუმრადაა კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, თქვა პრეზიდენტმა. მასამბა-დებამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოელი ახალგაზრდობისათვის საბჭოთა კოსმონავტების გმირობა აღმფრთოვანებელი მაგალითია.

გ. ს. ტიტოვმა მხურვალე მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ მასამბა-დებას, იმისათვის რომ ბრაზავილის კონგოში მოიწვიეს, რათა მონაწილეობა მიეღო რევოლუციის ეროვნულ დღესასწაულში.

მეგობრულ საუბარში მონაწილეობდნენ ეროვნული რევოლუციური მოძრაობის მმართველი პარტიის პოლიტბიუროს ყველა წევრი, პრემიერ-მინისტრი პასკალ ლისუბა და მთავრობის ყველა წევრი.

გუშინ საღამოს პრეზიდენტმა მასამბა-დებამ სადილი გამართა გ. ს. ტიტოვის პატივსაცემად.

18 სახელმწიფოს კომიტეტში

ჟენევა, 10 აგვისტო. (საკდესი). 18 სახელმწიფოს კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა განაცხადა, რომ როგორც კომიტეტის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გ. შტიბნისან, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ჟენევაში, მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით. ს. კ. ცარაპკინმა წაიკითხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში აღირეულია საკითხები, რომლებიც უკავშირდება ცენტრალური ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, აგრეთვე პრობლემები, რომლებიც მეტად მჭიდროდ დაკავშირებულია 18 სახელმწიფოს კომიტეტის საქმიანობასთან, საბჭოთა დელეგატმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება უნდა გავრცელდეს როგორც 18 სახელმწიფოს კომიტეტის ოფიციალური დოკუმენტი.

კონფერენცია გუდაკეშტში

გუდაკეშტი გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქვეშიანი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის სპეციალისტები. (საკდესი).

ცვლილებანი გარდაუვალია

ლონდონი, 11 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ს. ივანოვი იტყობინება:

ორი საგრძნობი და მოულოდნელი ლახვარი ჩაეცა ზედიზედ ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „პოლიტიკა სუეცის აღმოსავლეთთან მდებარე ქვეყნების მიმართ“. გაზეთებმა ვერც კი მოასწრეს შეეფასებინათ სამხრეთ არაბეთისა და ადენის შესახებ მოლაპარაკების დამარცხების შედეგები, რომ ლონდონს „თავზარი დასცა“ ცნობამ — სინგაპური გავიდა მალაიზიის ფედერაციიდან.

არსებითი ელემენტები პოლიტიკისა „სუეცის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების მიმართ“, რომლის მიზანია დაიცვას ინგლისის იმპერიის ინტერესები ახალ პირობებში, ის არის, რომ ინგლისმა შეინარჩუნოს სამხედრო ბაზები და შექმნას ყოფილ კოლონიათა ხელოვნური გაერთიანებანი. „ასეთი პოლიტიკა, — აღნიშნავს გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“, „გამოიყენეს ვესტ-ინდოეთში, ცენტრალურ აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთში. მის გამოყენებას ცდილობენ ადენში. ყველა შემთხვევაში ეს ცდები ჩაიშალა ან ჩაშლის საფრთხე მოელის“.

სინგაპურის გასვლა მალაიზიიდან მარტო ფედერაციის დაშლას როდი მოწმობს. ეს მოწმობს ინგლისის საგარეო პოლიტიკის დამარცხებასაც. უკანასკნელი ამბები აიძულებს „ფაინენშლ ტაიმსს“ აღიაროს, რომ „ფედერაციის დაშლა, ადენში მომხდარ უსიამოვნო ამბებთან ერთად, მოასწავებს პრიტანეთის პოლიტიკის ხანგრძლივი ფაზის დასასრულს“.

საერთაშორისო სტატიაში გაზეთი „ტაიმსი“ ხაზს უსვამს, რომ სინგაპურის მთავრობის გადაწყვეტილება „საეჭვოს ხდის მთელი ფედერაციის მომავალს და მასთან ერთად ინგლისის პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართ. — ახლანდელ ვითარებაში მეტად ძნელია პოლიტიკის გადასინჯვა, მაგრამ ზოგიერთი ცვლილება შეიძლება გარდაუვალი იყოს“.

სინგაპური და ადენი ინგლისის უდიდესი ზღვისიმიერი სამხედრო ბაზებია. სინგაპურისა და მალაიზიის შეთანხმების პირობებით „ინბილუზე“ რჩება ინგლისის სამხედრო ბაზა. ასევე სამხრეთ არაბეთისა და ადენის შესახებ მოლაპარაკების ჩაშლა უშუალო სპორთბეს არ უქმნის სამხედრო ბაზის არსებობას ადენში, თუმცა მოლაპარაკების ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ინგლისმა უარი თქვა მიეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია, რომელიც ბაზის გაუქმებას ითვალისწინებს.

მაგრამ შემთხვევითი როდია, რომ ინგლისის გაზეთები სერიოზულად წერენ, დიდი ხანი არ უწერიათ ინგლისის ბაზების არსებობას სინგაპურში, ადენსა და ლიბიაში, და განიხილავენ იმ გეგმებს, რომ სამხედრო ბაზა შეიქმნას ავსტრალიაში ან ინდოეთის ოკეანის კუნძულებზე.

მიმომხილველები ერთი აზრისანი არიან იმ მხრივ, რომ ახლა გარდაუვალია ესა თუ ის ცვლილებანი ინგლისის პოლიტიკაში „სუეცის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების მიმართ“. მიმომხილველნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს პოლიტიკა მეტად მჭიდროდ უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას შორეული აღმოსავლეთის მიმართ, რომ სინგაპურის სამხედრო ბაზას სულ უფრო მეტად იყენებენ ამერიკელები ვიეტნამის ომისათვის, და წინასწარმეტყველებენ, რომ ინგლისის პოლიტიკის ყოველგვარი შეცვლა გაამწვავებს ინგლისისა და შეერთებული შტატების ურთიერთობას.

„ატომურ“ პოზიციიდან

ბონი, [illegible] ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მრედერმა გაზეთ „ნოიე რანე �ტუნგში“ დაბეჭდა სტატია, რომელშიც კვლავ მოითხოვს მონაწილეობა მიიღებინონ ბონს ნატოს ატომური სტრატეგიის გეგმებში. „ჩვენ დაბეჯითებით უნდა მოვითხოვოთ, რომ აქტიური მონაწილეობა მიგვაღებინონ ატომურ დაგეგმვასა და ატომურ სტრატეგიაში“, — აცხადებს შრედერი. მისი აზრით, ბუნდესვერს უფლება აქვს ქონდეს ამის პრეტენზია, რადგან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დიდი სამხედრო წვლილი შეაქვს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სისტემაში.

შრედერი შემდეგ აცხადებს, ჩვენ მთავრობა კვლავ მოითხოვს, რომ ნატოს ფარგლებში შეიქმნას „ატომური ორგანიზაცია“, ესე იგი ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები.

შრედერი ცდილობს „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ ძველი თეზისის მეშვეობით დააბუთოს თავისი ის მოთხოვნა, რომ დასავლეთ გერმანიის არმია ეზიაროს ატომურ იარაღს.

1966 წლის იანვრიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძალაში შედის ევროპწოდებული „კანონი თავდაცვის შესახებ“. ამ კანონინ თანახმად თვითეული ოჯახი მოვალეა თავის ბარჯზე შეიძინოს სამოქალაქო თავდაცვისათვის განკუთვნილი საგნების კომპლექტი. ასე იქმნება ომის ფსიქოზის ატმოსფერო.

სურათზე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში და ნივთები, რომლებიც მან უნდა შეიძინოს.

ტელეფოტო იუპი-საკდესისა.

ჟენევიდრეგი ქენევაში

ჟენევა, 10 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გეორგ შტიბი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ჟენევაში, კვლავ ხვდება და ესაუბრება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის წევრებს, გ. შტიბი და მისი თანმხლები პირნი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ეწევიან საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელს 18 სახელმწიფოს კომიტეტში.

ბ. ვილსონის პრეს-კონფერენცია

სილის კუნძულები (სამხრეთ-დასავლეთი ინგლისი), 11 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ჩუქსეევი და „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი მ. სტურუა გვატყობინებენ:

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა, რომელიც შეებულებას სემსონში (სილის კუნძულები) ატარებს, მოაწყო პრეს-კონფერენცია ინგლისელ და უცხოელ კორესპონდენტთა პატარა ჯგუფისათვის.

პრეს-კონფერენციის დროს, რომელიც პლაჟზე გაიმართა, პრემიერ-მინისტრი შეეხო ლეიბორისტთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ ძირითად პრობლემას.

შეეხო რა ინგლისის ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც უკვე დიდი ხანია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ვილსონმა განაცხადა, უკანასკნელი მონაცემები ინგლისის საგარეო ვაჭრობის შესახებ მოწმობენ, რომ ამ დარგში მდგომარეობა რამდენადმე გაუჯობესდა.

ვილსონმა კიდევ ერთხელ უარყო, როგორც მან თქვა, „სულელური ბრალდებანი“ გირვანქა სტერლინგის შესაძლო დევალვაციის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, რომ სინგაპური გამოვიდა მალაიზიის ფედერაციიდან, პრემიერ-მინისტრს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, ვილსონი მოერიდა პირდაპირ კომენტარს და განაცხადა, რომ საქმის კურსშია. შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა „კონსულტაცია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონთან მალაიზიის ამბების გამო, ვილსონმა უარყოფითად უპასუხა.

როგორც პრემიერის შემდგომი გამონათქვამებიდან ჩანს, ინგლისის პოლიტიკა დერამიწის ამ რაიონში არ შეცვლილა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ — ბრალდებულ ბრაზილიაზე

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბეჭდავს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი საგანგებელი ელჩის ჰ. ჯ. ლოჯის განცხადებას, რომ ამერიკელები თავის ჯარებს დატოვებენ სამხრეთ ვიეტნამში იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ჯარების გაყვანას თვით სამხრეთ ვიეტნამის მთავრობა სთხოვს. ბრაზილის გაზეთები ბეჭდავენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის რ. მაკნამარას ინტერვიუს და ხაზს უსვამენ მის სიტყვებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან თუნდაც 20 წელიწადს იომონ ვიეტნამში.

„ვაშინგტონის ავანტიურისტული გეგმები, — წერს **პოლონეთის „ულნეე ვოლნოსტი“,** — ამერიკის შეერთებულ შტატებს აშორებს ყველაზე ერთგულ მოკავშირეებსაც კი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მათს პოლიტიკას. ყველაზე სალად მოაზროვნე კონგრესმენებსაც სულ უფრო უკეთ ესმით, რომ პოლიტიკანებისა და სამხედრო მოღვაწეთა ავანტიურისტული მოქმედება საშიშია“.

პარიზის გაზეთები აშუქებენ სამხრეთში შექმნილ მდგომარეობას და ერთსულოვნად აღიარებენ, რომ მეკარკვენე წრეებისა და მეფის ცდა შექმნან სამხრეთში ეგრეთწოდებული „ეროვნული ერთობის“ მთავრობა რეალური არ არის. „ფიგაროს“ მიაჩნია, რომ ის, რაც ახლა სამხრეთში ხდება, რეფორმის ამკარა კოზისია. პაპანდრეუ, აღნიშნავს გაზეთი, „განსაკუთრებული პიროვნებაა, რაც მკაფიოდ გამოჩნდა სამხრეთის ახლანდელ პოლიტიკურ ფონზე“. **„ლუმანიტე“** წერს, რომ მეფის სასახლეს კიდევ აქვს იმედი თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატის პატივმოყვარეობა და მათი პოლიტიკური ორბირობა. (საკდესი).

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). „თუ გერმანიის კომუნისტურ პარტიას თავისუფლება არა აქვს საქმიანობისა-

გერმანიის კომპარტია ცხოვრობს და იბრძვის...

თვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხსაც არა აქვს თავისუფლება“, — ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, რომელიც მიიღო აიზენახიუტენშტადტის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) „ოსტის“ მეტალურგიული კომბინატის მუშათა მიტინგმა. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებამ გააუქმონ გერმანიის კომუნისტური პარტიის უკანონო აკრძალვა.

როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება, მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ერიხ გლუკაუფმა. დასავლეთ გერმანიაში 1956 წელს კომუნისტური პარტიის აკრძალვის მიზეზები, განაცხადა მან, ივიეკა, რაც 1933 წელს იყო ჰიტლერის დროს. ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და მის დამქაშებს სურთ გზა გაუხსნან თავიანთ დანაშაულებრივ პოლიტიკას. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, მიუხედავად, გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვისა, მისი წევრების დევნისა და რეპრესიებისა, შეგვიძლია დღეს ვთქვათ, რომ 1945 წლის შემდეგ გერმანიის კომუნისტური პარტია არ ყოფილა ესოდენ ძლიერი, როგორიც ახლა არის.

ნარსული არ უნდა დავივიწყოთ

პარიზი, 11 აგვისტო. (საკდესი). გავუფრთხილდეთ მშვიდობას, ნუ დავივიწყებთ წარსულის გაკვეთილებს — ასეთი ლოზუნგებით ეწყობა საფრანგეთში აგვისტოს ტრადიციული მანიფესტაციები, რომლებიც ეძღვნება ჰიტლერელ დამპყრობთაგან საფრანგეთისა და პარიზის განთავისუფლების წლისთავს.

„ამ დღეებში ჩვენ ვფიქრობთ ამხანაგებზე, პატრიოტებზე, რომლებიც დაიღუპნენ საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში“, — წერს გაზეთ „ლუმანიტეში“ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ჟ. დიუკლო. ავტორი მკითხველებს ახსენებს საბჭოთა ხალხის უდიდეს მსხვერპლსა და მამაცობას ომის დროს.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინდელ სხდომაზე უშიშროების საბჭომ დაამთავრა კვიპროსის საკითხის განხილვა. საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც უშიშროების საბჭოს ეძესმა არამდგომად წევრმა წამოაყენა. ეს რეზოლუცია ადასტურებს საბჭოს მიერ ამ საკითხის გამო მიღებულ 1964 წლის 4 მარტის რეზოლუციას და მოუწოდებს მხარეებს თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება გაამწვაოს კვიპროსის მდგომარეობა.

„ეკონომისტი“ — ინდოეთზე

ლონდონი, [illegible] ინდოეთის ეკონომიკურ [illegible] ინდოეთის ეკონომიკურ [illegible] ინდოეთის ეკონომიკურ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ · ᲡᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ

მ ო კ ლ ე დ

● **ტყიბული.** (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა კარგი სიჩუქარი მიიღეს. ოქტომბრის ქუჩაზე დამთავრდა კიდევ ერთი ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამ დღეებში ოცდაათი ტყიბულელი მშრომელის ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა.

● **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინიციატივით ამას წინათ მოეწყო სამდღიანარო ტურისტული მოგზაურობა „გუმათის ზღვიდან" შავ ზღვამდე.

აბრეშუმკომბინატის ფეიქრების ტურისტთა ჯგუფი ბაიდარებით დაეშვა მდინარე რიონს და იმოგზაურა მარშრუტით: ჟუთაისი-ვარციხე-ოფუკვითი-სამტრედია-ჭალადიდი-ფოთი.

● **ხაშურის** საკონსერვო ქარხანამ დაიწყო ახალი მოსავლის ნეიტინის კიტრის მიღება. წელს ქარხანა 6500 ათას პირობით ქილა დაკონსერვებულ ნეიტინის კიტრს გამოუშვებს. (საკ. კორ.).

ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

როგორც კი ივლისის სიცხე შენელდა, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღვადის ერთ-ერთი უხუცესი კოლმეურნის ნესტორ აშუბას ჭადრებით დაბურულ ეზოში არაჩვეულებრივმა სტუმრებმა მოიყარეს თავი. მოვიდნენ 128 წლის ხფაფ ლასურია, 122 წლის ხუტა ზანთარია, 113 წლის ალექსა ცვიება, 110 წლის ანტონ გვეგენავა და სხვა კოლმეურნეები ასლომახლო სოფლებიდან. უკანასკნელი მოვიდა ნ. აშუბას თანატოლი და მეზობელი — 102 წლის ასტანა შლარბა, რომელთან ერთად ნესტორი ორი წლის წინათ ქართველ ცხენოსანთა დელეგაციის შემადგენლობაში სპარტაკიადაზე იყო მოსკოვში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ამ ადამიანებს არა სურთ დაისვენონ და თავიანთი ძალღონის შესაფერ შრომას განაგრძობენ. მათ მიაჩნიათ, რომ შრომა დღეგრძელობის საწინდარია. მაგალითად, ხფაფ ლასურია, ისევე როგორც სხვა დღეგრძელნი, პენსიას იღებს და შეძლებულად ცხოვრობს. მაგრამ ზაფხულში მას შინ ვერ გააჩერებ — დილით ადრე მიეშურება საკოლმეურნეო პლანტაციებში ჩაის საკრეფად. შარშან ლასურიამ 1,5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერი-გერონტოლოგი ანდრია ფიშერი თავის სიცოცხლეში პირველად მოხვდა ასეთ კომპანიაში. ღვინით და ხილით სავსე სუფრაზე დღეგრძელებთან საუბარი რამდენიმე საათს გრძელდებოდა. მოხუცებმა ჩეხოსლოვაკიელ სტუმარს უამბეს თავიანთ შესახებ, თავიანთ მრავალრიცხოვან შთამომავლობაზე, უმღერეს აფხაზური სიმღერები (ბევრი მათგანი აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლთან შექმნილი დღეგრძელთა გუნდის მონაწილეა), უჩვენეს ტემპერამენტიანი კაკაკასიური ცეკვა.

ანდრია ფიშერი აღტაცებით იხსენიებს თავის შეხვედრებს აფხაზეთში.

— მაცოცხლებელია ეს მიწა, მაცოცხლებელია მისი ჰაერი, — ამბობს იგი — აფხაზეთში დღეგრძელობის შესანიშნავი მაგალითები დამაჯერებლად გვიჩვენებს, სრულფასოვანი და აქტიური სიცოცხლის რაოდენი შესაძლებლობა მოეპოვება კაცობრიობას.

(აას).

ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲔᲜ

ახალციხე. (საკ. კორ.). მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში თითქმის ერთ თვეს მუშაობდა საქართველოს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ჯალაბაძის ხელმძღვანელობით.

ექსპედიციის მონაწილე შვიდმა მეცნიერმა თანამშრომელმა შემოიარა ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების სოფლები — ჩუნჩხა, პრტენა, ოკამი, გოგაშენი, აფნია, კოთელია, ბარალეთი, ვალე, უდე, არალი, ძველი ჯობარეთი, მუსხი, ანდრიაწმინდა და შეაგროვა მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის ძველი ყოფაცხოვრების ამსახველი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა.

გარდა შეკრებილი წერილობითი მასალებისა მუზეუმის კოლექციების გასამდიდრებლად ექსპედიციამ შეიძინა ძველი მესხური და ჯავახური ჭილღა-გოგორა, არონა, „მარანი-გოგორა". ნაქსოვი ფარდაგები, რკინის ნაკეთობანი — ქართული ცულები, ბარები, თოხები, ქვის საპობი იარაღები და ნალები.

ᲖᲔᲙᲐᲠᲘ ᲒᲕᲘᲮᲡᲝᲒᲡ

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონული ცენტრიდან ოციოდე კილომეტრის დაშორებით ქერშაკეთის ხეობაში თბილი გოგირდოვანი სამკურნალო წყლებია, ე. წ. „ზეკარის აბანოები". აქ სხვადასხვა კუთხიდან მოდიან ადამიანები ნერვული სისტემის, მწვავე რევმატიზმის, რადიკულიტის, გინეკოლოგიურ და კანის დაავადებათა საკურნალოდ.

ამას წინათ აქ დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმრო-პანსიონატის სამსართულიანი შენობა, სადაც ერთდროულად 50 კაცი ისვენებს და მკურნალობს. მხიშვნელოვნად გადაკეთდა საბაზანო. „დაბა მაიაკოვსკიდან ზეკარამდე დაწესებულია სპეციალური ავტობუსების მიმოსვლა.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲑᲐᲖᲔ.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲘᲙᲕᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

საერთოდ მხატვრული შემოქმედება და კერძოდ მწერლობა ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანობას და ადამიანზე აქტიური, ჯანსაღი ზემოქმედების ძალას ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან ერთ მჭიდრო კავშირის წყაროდან იღებს, ხოლო თვით მწერლის კავშირი ცხოვრებასთან, ამ უკანასკნელის ღრმად გაანალიზებული ცოდნის გარდა, მხატვრული ასახვის სიმართლესაც გულისხმობს. თუ მწერალი საფუძვლიანად იცნობს, რეალისტურად, ობიექტურად ასახავს ცხოვრებას თავის ქმნილებებში, მკითხველი უსათუოდ გაიგებს მის ნაწარმოებებს. სწორედ ასეთი კუთხით იქცევს ყურადღებას სიმონ წვერავას შემოქმედება.

პირველი მოთხრობიდან („ჩატეხილი ხიდი"), რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", დღემდე მწერლის შემოქმედების მთავარი თემაა თანამედროვეობა. მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოების მთავარი გმირები საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის წარმომადგენლები და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები არიან. თავიანი მოღვაწეობის ორმოცი წლის მანძილზე მწერალი ცდილობდა თავის ნაწარმოებებში აესახა უკეთესი მერმისის მშენებელი ხალხის სახელოვანი შრომა. იგი მუდამ თავისი მომავალი მოთხრობებისა და ნარკვევების გმირებთან ტრიალებდა, დოკუმენტურად, შრომის პროცესში სწავლობდა მათს ცხოვრებას, ფიქრებს, მისწრაფებებს.

ჩვენ დღეებს მართალი ცხოვრებისეული ასახვით გამოირჩევიან სიმონ წვერავას ბოლოდროინდელი წიგნები **„ფოლადის გზებზე"** და **„ჩემი სოფლის სურათები"**.

„ჩემი სოფლის სურათები" (გამომცემლობა **„ნაკადული"**) ვრცელი დოკუმენტური მოთხრობაა. ამ თითქმის სამასგვერდიანი წიგნის ფურცლებიდან მკითხველს თავის გულის ფიქრებს გადაუშლის ბევრი გმირი. პერსონაჟთა უმრავლესობა ჩვენი თანამედროვე ნამდვილი ადამიანები — საკოლმეურნეო სოფლის ბრიგადისთვის მებრძოლი მშრომელები არიან, რამდენიმე კი — მწერლის ფანტაზიის, განზოგადების ნაყოფია. მათ აერთიანებენ დიდი სიყვარული შრომისა და მშობლიური მიწისა, რწმენა აწმყოსა და მომავლისა.

წიგნში მოთხრობილი თითქმის ყველა ამბის შუაგულში ვხედავთ ივანეს, რომელიც ნაწარმოების მთავარი ღერძი და ხერხემალია. ვინ არის ივანე? იგი ქართველი მშრომელი გლეხკაცის განზოგადებული სახეა, მწერლის მიერ სიყვარულით შექმნილი.

შრომა ადამიანური სიკეთის საფუძველია. ვინც პატიოსნად შრომობს, მის გულში ბოროტი და შავბნელი გრძნობა ვერ დაისადგურებს. საქმე ბევრი, სიტყვა ცოტა, — ასე უყურებს ივანე ადამიანურ ცხოვრებას. იგი ვერ ურიგდება იმით, რომელთაც სახალხო დოვლათისა და ბარაქის შექმნის მთავარ „წყაროდ" მაღალფარდოვანი სიტყვები დაუსახავთ და მოსაეალის მოყვასას მხოლოდ ქაღალდზე ფიქრობენ.

„მოგვკლა, ბიძიკო, ამდენმა ლაქლაქმა, — გულისტკივილით ამბობს ივანე, ასეთ ადამიანებს რომ უყურებს, — ესეთი გაკეთებული საქმე სად გინახავს? ენით რომ მიწა იხვნებოდეს, სიმინდი ითესებოდეს, ჩაი იკრიფებოდეს და ძრობა იწველებოდეს, მაშინ ყანაში, ფერმასა და ჩაიში სიარული რათ გვინდა?.. ბიძიკო, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ლაპარაკსაც და მუშაობასაც".

ივანეს განზოგადებული სახე მწერალს, ცხადია, მხოლოდ იმისათვის როდი შემოჰყავს, რომ მისი პირით შრომის აპოლოგია თქვას. ივანე ამასთანავე სასახელო რეგოლუციური წარსულის მქონე ადამიანია. თანამედროვე სოფლის ცხოვრების ასახვის პარალელურად, გზადაგზა მწერალს და ივანეს თავიანთი მოგონებრობით უახლოეს წარსულში დადაყავართ, წარსულში, როცა ჩვენს ახლანდელ თავისუფალ ყოფას, ახალ ცხოვრებას ეყრებოდა საფუძველი. ამით დამაჯერებლად და მართებულად არის ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა ადამიანმა, ვიდრე იგი თავისი თავის და თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი პატრონატორნი გახდებოდა, რთული და მძიმე გზა გაიარა. ჩვენი ბედნიერების სამსხვეპლოზე დაიღვარა ჩვენი მამა-პაპის წმიდა სისხლი. ივანე ჩვენი თანამედროვეობის ოეეოლუციურ წარსულთან დამაკავშირებელი ყაარი ხიდია.

შშობლიური კუთხის, ხალხისა და მიწის სიყვარული ამაღლებს, კეთილშობილს ხდის ადამიანს. სიმონ წვერავას წიგნში, რომელიც მშრომელი ადამიანებით არის „დასახლებული", ამ კეთილი საწყისით სუნთქავს ყოველივე. „მინდა დავემხო ამ მიწაზე, — ამბობს მწერალი,— მკერდში ჩავიკრა იგი, დავკოცნო ყოველი მისი ბელტი... ზერე დიდხანს, სულ დიდხანს ვეგდო ზედ სულგანაბული, სუნთქვაშეკრული..." „აქ ჩამეხლება და ამ მიწაზე გაწოლა მთლად მორჩენილია ყველაფერს", რადგან „...მზეში, წვიმაში, ქარსა და ყინვაში ამ ნოყიერი მიწის ახლოს ვყოფილვარ, შიგ ოფლი მიღვრია, მიწის წვენის ძალა მიგვრძნია და ახლაც გაგიუკეთებამდე მიყვარს იგი"...

შრომა და მშობლიური მიწის სიყვარული სიკეთის წყაროა, ხოლო ადამიანი იმისათვის არის შექმნილი, რომ შრომით იხვეჭდეს ბედნიერებას, თესდეს და მკიდეს მხოლოდ სიკეთეს,—ასეთია დასაქანა, რომელსაც მკითხველი გააკეთებს, სიმონ წვერავას ამ წიგნს რომ გაეცნობა.

ახალი ცხოვრების ძველი ბურჯის — ივანეს გვერდით, ცხადია, ავტორს დოკუმენტური სისრულით ჰყავს დახატული საკოლმეურნეო სოფლის მშენებელი ახალგაზრდების პორტრეტები. სწორედ თანობათა მტკიცე ერთიანობაში ხედავს მწერალი ჩვენი საზოგადოების სიჯანსაღეს და სიძლიერეს.

წიგნის ნამდვილი სამკაულია მოხუცი ქართველი დედის — ქვრივი მინდორას სახე. რომელსაც ოთხმოცდაათი წლისათვის მიეღწევია, მაგრამ ისევ შრომისაკენ მიეწევის გული. მისი ცხოვრების ფიქრი და აზრი იყო და არის ოჯახი, შვილების სახელოვნად აღზრდა, რადგან ღრმად სწამს, რომ ამით თავისი სამშობლოს მოგავალს ზრდის.

ცხადია, ამ პატარა საგაზეთო წერილში შეუძლებელია „ჩემი სოფლის სურათების" ყველა მკრის — ნამდვილი ადამიანების თუ განზოგადებული პერსონაჟების დახასიათება. თუმცა ეს არც არის ძირითადი. მთავარი ის არის, რომ სიმონ წვერავას დოკუმენტური მოთხრობა „ჩემი სოფლის სურათები" სახალხო, საზოგადოებრივი საქმის ერთგულებას, შრომისა და მშობლიური მიწის სიყვარულს უნერგავს მკითხველს.

ლ. კიკნაძე.

ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲝᲜᲢᲝᲚᲝᲒᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲜᲘ

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘᲐ. ᲐᲡᲘᲗᲘᲐ ᲒᲣᲨᲐᲒᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ, ᲯᲐᲚᲓᲑᲣᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ" ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲔᲑᲘᲗ...

ᲓᲦᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲛᲘᲗ, ᲓᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲕᲓᲐᲠᲨᲘ ᲒᲘᲡ ᲦᲣᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲓᲒᲠᲔᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘᲐ. ᲐᲡᲘᲗᲘᲐ ᲒᲣᲨᲐᲒᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ, ᲯᲐᲚᲓᲑᲣᲚᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ" ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲔᲑᲘᲗ...

...ᲐᲛ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲣᲪᲘᲜᲘᲡᲛᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲬᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲗᲐᲜ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲘ ᲛᲝᲛᲙᲠᲐᲗᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ, ᲓᲐᲣᲓᲒᲐᲜᲐ, ᲚᲐᲜᲓᲘ ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲥᲠᲐ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲔᲚᲛᲐ ᲘᲪᲘᲗᲮᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲠᲕᲘᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ" ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ.

...ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲣᲪᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲗᲝᲛᲕᲐ ᲡᲐᲠᲘᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ, ᲒᲖᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲩᲐᲯᲘᲢᲐ ᲗᲝᲗᲕᲔᲚᲐ. ᲛᲐᲜᲐᲯᲝᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲝᲠᲛᲘᲡᲛᲐ ᲡᲣᲠᲐᲜᲒᲐᲛᲑᲐᲛ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲘᲠᲩᲮᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝ ᲙᲘᲚᲘᲡᲛᲬᲘᲤᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ. ᲘᲒᲘ ᲛᲘᲛᲐᲓᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ ᲘᲫᲘᲕᲘᲐᲗᲘᲐ!

...ᲐᲛ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲣᲪᲘᲜᲘᲡᲛᲘᲐ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲬᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲗᲐᲜ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲚᲐᲜᲓᲘ ᲛᲝᲛᲙᲠᲐᲗᲐ ᲗᲕᲘᲡᲘ, ᲓᲐᲣᲓᲒᲐᲜᲐ, ᲚᲐᲜᲓᲘ ᲬᲧᲕᲓᲘᲐᲓᲨᲘ ᲒᲐᲥᲠᲐ, ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲔᲚᲛᲐ ᲘᲪᲘᲗᲮᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲠᲕᲘᲡ „ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ" ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲛᲞᲝᲚᲝᲒᲘᲙᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲮᲣᲚᲘᲠᲓᲐᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲘᲜᲓ